დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2018 წლის 21 ნოემბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე” დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №8 დადგენილებით (matsne.gov.ge, 22/01/2018, 010250020.35.152.016330) დამტკიცებული №2 დანართის „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხის“ მე-11 სტრიქონში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“

11	კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ადმინისტრატორი	1

“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ინაშვილი**